IMAGES OF SECULAR AUTHORITIES AND THEIR ATTRIBUTES AS REPRESENTED IN MEDIEVAL GEORGIAN SCULPTURE

საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში[1]

TAMAR KHUNDADZE
Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and HeritagePreservation. Chief Researcher
Atoneli str. 9/6, Tbilisi, Georgia, 0105
Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Art
Associated Professor
Griboedov str. 22, Tbilisi, Georgia, 0108
+995599503939, tamar.khundadze@art.edu.ge
Orcid ID- 0009-0009-8043-1487

Abstract

In medieval Georgian fine art, images of supreme secular authorities—such as kings, queens, and feudal lords—hold a significant place alongside purely religious scenes. These figures, often depicted in their distinctive vestments and insignia, denote their social status. Frequently, they are shown alongside divine beings in symbolic compositions, which not only convey their spiritual salvation but also assert their divinely sanctioned power.

The earliest examples of such stone sculptures in Georgian art date from the 5th to the 11th centuries. These depictions are commonly found on early medieval stone crosses, chancel barrier tiles, and church facades.

This article examines the portrayal of secular authorities in medieval Georgian sculpture and their attributes, placing these depictions within a cross-cultural context that includes Byzantine, Armenian, and Iranian influences. By analyzing the images of secular authorities, their attributes, and accompanying inscriptions, the article illustrates the power of Georgian medieval rulers expressed through local regalia. It will also explore political orientation of the State and cultural influences between Georgia and its neighboring countries. The article will overview the information supported by historical sources.

Additionally, the article discusses the placement of sculptural images of secular authorities on church facades and their artistic features. It assesses how artistic trends of the same period of Georgian sculpture—such as stylistic innovations, the continuation of local traditions, and influences from neighboring countries—affected these works.

Key words: attribute; medieval; secular authority; relief; Georgian.

[1] სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისთვის დაფინანსებული პროექტის „სამეფო ატრიბუტიკა ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში“ (FR-21-5352) ფარგლებში

თამარ ხუნდაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული
კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, ათონელი ქ., # 9/6, 0105, საქართველო
აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, გრიბოედოვის ქ., 22, 0108, საქართველო
+995599503939, tamar.khundadze@art.edu.ge
Orcid ID- 0009-0009-8043-1487

აბსტრაქტი

შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში, წმინდა რელიგიური შინაარსის სიუჟეტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმაღლეს საერო ხელისუფალთა - მეფე-დედოფალთა, მსხვილ ფეოდალთა გამოსახულებებს, რომელნიც მათი სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ინსიგნიებით წარმოგვიდგებიან. ეს ადამიანები, ხშირად ღვთაებრივ არსებებთან ერთად გამოისახებიან სიმბოლური ხასიათის კომპოზიციებში, რომელთა შინაარსს ამ საერო ხელისუფალთა სულის ხსნასთან ერთად, მათი ძალაუფლების ლეგიტიმაცია და უფლის მიერ მათი კურთხევა-ხელდასმა წარმოადგენს.

საქართველოში ამ თემის უადრესი ნიმუშები V-XI საუკუნეების ქვის რელიეფურმა სკულპტურამ შემოგვინახა. საერო ხელისუფალთა გამოსახულებები მრავლად გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარებზე, ეკლესიათა ფასადებსა და კანკელთა ფილებზე.

სტატიაში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში არსებული საერო პირთა გამოსახულებანი და მათი ატრიბუტიკა მეზობელ კულტურებთან (ბიზანტია, ირანი, სომხეთი) კავშირში; საერო ხელისუფალთა რელიეფური გამოსახულებების, მათი ატრიბუტიკისა და თანმხლები წარწერების მეშვეობით, წარმოჩენილია შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების გამომხატველი რეგალიები, საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაცია და ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები; მოხმობილია ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები.

სტატიაში, ასევე, ყურადღება ეთმობა საერო ხელისუფალთა სკულპტურული გამოსახულებების ტაძართა ხუროთმოძღვრულ სტრუქტურაში განთავსებისა და მხატვრული გადაწყვეტის საკითხებს - გამოვლენილია თუ როგორ აისახა ამ რელიეფებზე თანადროული ქართული სახვითობის არტისტული ტენდენციები - ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელება, სტილური ინოვაციები და მეზობელი ქვეყნების ხელოვნების გავლენები.

საკვანძო სიტყვები: ატრიბუტი; შუა საუკუნეები; საერო ხელისუფალი; რელიეფი; ქართული.

შესავალი

შუა საუკუნეების ქართული ქვაზე კვეთილი რელიეფების მრავალფეროვან რეპერტუარში, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ისტორიულ პირთა გამოსახულებებს უჭირავს. მათ შორის ხშირად ვხვდებით უმაღლეს საერო ხელისუფალთა ფიგურებს, რომლებიც მათი სოციალური სტატუსის დამადასტურებელი ატრიბუტიკით არიან წარმოდგენილნი. ეკლესიათა კედლებსა თუ ქვაჯვარათა წახნაგებზე კონკრეტულ მმართველთა შესაბამისი ატრიბუციით გამოსახვას მათი სოციალური მდგომარეობის პრეზენტაციისა და გარკვეულწილად, ისტორიული საბუთების მნიშვნელობაც ენიჭება.

შუა საუკუნეების პლასტიკისთვის დამახასიათებელი სახვითი ენის პირობითობის გამო, საერო ხელისუფალთა გამოსახულებების იდენტიფიცირება განმარტებით და სამშენებლო წარწერებში მოხსენიებულ პიროვნებათა სახელებით ხდება. წარწერების არ არსებობის, ან დაზიანების შემთხვევაში, გამოსახულ პირთა ვინაობის დადგენა, ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული კონკრეტული პერიოდისა და რეგიონის მმართველების სახელების საშუალებითაა შესაძლებელი. საყურადღებოა ამ გამოსახულებათა ატრიბუტები - სამოსი თუ სხვა ინსიგნიები, რომლებიც მიანიშნებენ მათ იერარქიულ სტატუსზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ისტორიულ პირთა რელიეფური გამოსახულებების ატრიბუციას მკაცრი კანონიკურობა არ განსაზღვრავს და თითოეულ შემთხვევაში, მათი მნიშვნელობა მხოლოდ კონკრეტული ქმნილების შინაარსობრივი კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება იყოს გასაგები.

მეთოდები: წარმოდგენილი სტატია ეფუძნება ინტერდისციპლინარულ კვლევას - გამოყენებულია როგორც სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდები - იკონოგრაფიულ-იკონოლოგიური, მხატვრული სტილისა და კომპარატივისტული ანალიზი, ისე, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა

საქართველოში ისტორიულ პირთა გამოსახულებები ადრეული შუა საუკუნეებიდანვე გვხვდება მე-5-7 საუკუნეების მცირე არქიტექტურულ ფორმებზე - ქვაჯვარებზე გამოკვეთილ რელიეფებზე (Чубинашвили, 1972; მაჩაბელი, 2008; დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 54-103). უცხოურ პარალელებთან შედარების საფუძველზე, ნათლად გამოჩნდა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარებსა და ტაძართა ფასადებზე გამოკვეთილ ერისმთავართა, პიტიახშთა, მამასახლისთა რელიეფური გამოსახულებების სამოსისა თუ ინსიგნიების გადაწყვეტაში სასანური ირანის იკონოგრაფიიდან მომდინარე, ძალაუფლების აღმნიშვნელი ატრიბუტები დომინირებს, როგორიცაა ე. წ. "ბაფთიანი" თავსაბურები, მაგ., ბოლნისის „ლამაზი გორას" რელიეფური ფილის (მე-5-6 სს) ახალგაზრდა მამაკაცის გამოსახულება (ამირანაშვილი, 1968: 27-34; სილაგაძე, 2017: 59-78), რომელსაც გაშლილ ხელებში ძალაუფლების ინსიგნია - სატევარი და ქარქაში უჭირავს, თავზე კი სასანური ყაიდის სტილიზებული თავსაბური ახურავს (სურ. 1). მკვლევართა აზრით, ეს პიროვნება ქვემო ქართლის, გუგარქის პიტიახშს უნდა განასახიერებდეს. (ამირანაშვილი, 1968: 32-33). ბაფთიან თავსაბურავს ვხვდებით ატენის სიონის ნადირობის სცენის მხედრის გამოსახულებაზეც (მე-7ს. აბრამიშვილი, 2012:125-127). სასანური წარმომავლობისაა აგრეთვე მაღალი სოციალური სტატუსის მიმანიშნებელი ინსიგნია - შროშანისებრი ყვავილი, რომელიც ხშირად გვხვდება ადრეული ხანის (მე-5-6 სს) სტელებზე გამოკვეთილ დიდებულთა ხელში (მაგ., ბრდაძორი, უკანგორი, დმანისი და სხვ., მაჩაბელი, 2013: 61-67, 45-47, 29-35). თუმცა, ასევე თვალსაჩინოა

ბიზანტიური გავლენაც, მაგ., სამწევრისის ფილაზე (მე-5-6 სს.) წარმოდგენილ ფიგურას, რომელიც სასანური ინსიგნიით - შროშანისებრი ყვავილით ხელში შტანდარტის მსგავსი დიდი ჯვრის წინაშეა გამოსახული, ბიზანტიური ყაიდის სამოსი მოსავს - ქლამინდი (chlamys), მასზე აღნიშნული ტავლიონითა (tavlion) და კლავებით (clavus), თავზე კი, ასევე ბიზანტიური თავსამკაული - „სტეფანოსი“ ახურავს გვერდებზე ჩამოკიდებული პენდილიებით (მაჩაბელი, 2013:21-25). ამავდროულად, ამ პერიოდის ნიმუშებზე, საერო ხელისუფალთა დიდი ნაწილი, ადგილობრივი, ე.წ. „ცრუსახელოებიანი“ მოსასხამებით წარმოგვიდგება, მაგ., მცხეთის ჯვრის ტაძარზე (მაჩაბელი, 2013: 89-93), დმანისის, ბოლნისის, ბალიჭის, უკანგორის ქვაჯვარებზე (ჩოფიკაშვილი, 1964:11-13; მაჩაბელი, 2013: 45-46) გამოკვეთილი ისტორიულ პირები. მსგავსი მოსასხამები, მოგვიანებითაც ხშირად გვხვდება უმაღლეს საერო ხელისუფალთა ფიგურებზე, მაგ., ატენის სიონის (აბრამიშვილი, 2012; მაჩაბელი, 2013: 99-104), ტბეთის (მაჩაბელი, 2013: 117-125), კუმურდოს (მაჩაბელი, 2013:127-129), ზეგანისა და სხვა რელიეფები. ამგვარი თარგის მოსასხამი, ე. წ. „კანდუსი“, ირანში აქემენიდური ხანიდან არის ცნობილი (მაგ. პერსეპოლისის რელიეფზე; სასანურში - თაღი ბოსტანის კლდის რელიეფის ერთ-ერთი ფიგურა და სხვ., ჩოფიკაშვილი, 1964: 17, 38-39; მაჩაბელი, 2013: 53), საიდანაც, როგორც ჩანს, კავკასიაშიც შემოვიდა და საუკუნეების მანძილზე დიდი ხნით დამკვიდრდა. ნიკოლ ტიერი მას „ირანულ-კავკასიურ“ მხედრულ სამოსს უწოდებს (Thierry, 1985: 175–176).

შუა საუკუნეების რელიეფებზე საერო ხელისუფალნი უმეტესწილად, უგვირგვინოდ, თავდაუბურავი გამოისახებიან. გვირგვინით წარმოდგენილი უმაღლესი ხელისუფალი, ქართულ რელიეფებში საერთოდ იშვიათად გვხვდება. თუმცა, წერილობით წყაროებში არაერთგზის გვხდება პასაჟები, სადაც წარმართი მეფეების - ფარნავაზისა და ადერკის, ქრისტიან მეფეთა - მირიანის, ვახტანგ გორგასლისა თუ სხვათა ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს გვირგვინებია მოხსენიებული და აღწერილი (ქართლის ცხოვრება, 1955: 23,35,130,171). ასევე, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია 552 წელს კონსტანტინეპოლში ჩასული ლაზების მეფე წათეს იმპერატორ იუსტინიანე მე-2-ის მიერ სამეფო ნიშნებით დასაჩუქრება, რომელთა შორის, ოქროს გვირგვინია დასახელებული. საინტერესოა, რომ ამ ტექსტში გვირგვინი აღნიშნულია არა საიმპერატორო სტემით, არამედ სტეფანოსით, რომელიც წარმოადგენს ოქროს სალტეს შუაში ძვირფასი ქვით და არა ჯვრით („გეორგიკა“, 1936: 84-85; ჩოფიკაშვილი, 1964: 146). ქართულ რელიეფურ სამეფო გამოსახულებების გვირგვინებზე არ არის ჯვარი, რომელიც, პენდილიებთან ერთად, მხოლოდ საიმპერატორო გვირგვინებს ამშვენებს. საინტერესოა, რომ ჯვრიანი გვირგვინი გვხვდება გაერთიანებული და სახელმწიფოებრივად გაძლიერებული საქართველოს მონარქების სამონეტო გამოსახულებებზე, მაგ. დავით აღმაშენებლის (1089-1125) მონეტაზე, სადაც მეფე საიმპერატორო ინსიგნიებით - პედილიებიანი და ჯვრიანი გვირგვინით, მარჯვენა ხელში ჯვრისებრი სკიპტრით, მარცხენაში კი - ჯვრით დაგვირგვინებული სფეროთი წარმოგვიდგება (პატარიძე, 2022: 40, 8). ჯვარს ვხედავთ მეფე გიორგი მე-3-ის (1156-1184) მონეტაზე გამოსახული მონარქის პენდილიებიან გვირგვინზეც (კაპანაძე, 1950: 73, 61-62). როგორც ჩანს, გაერთიანებული და გაძლიერებული ქართული სამეფოს ხელისუფალნი, ბიზანტიის იმპერატორებს უტოლებდნენ თავს და საიმპერატორო ატრიბუტებსაც თამამად იყენებენ.

ქართულ ხუროთმოძღვრულ სკულპტურაში, საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი, პირველად მცხეთის ჯვრის ტაძრის (მე 6-7 სს) ფასადებზე ჩნდება. აქ ვხვდებით ქართლის ერისმთავართა, მათი სახლეულის წევრთა ფიგურებს (Чубинашвили, 1948; Djobadze, 1960: 112-135; 1961: 70-77; Аладашвили, 1977: 30-40; თუმანიშვილი, ხოშტარია, ხუნდაძე, 2008; დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017:21-23). აღმოსავლეთი ფასადის ცენტრალურ კომპოზიციაში (სურ. 2)

ქრისტე თავზე ხელის დადებით აკურთხებს ქართლის ერისთავს - სტეფანოზ პირველს, რომელსაც პატრიკიოსის ბიზანტიური ტიტულიც ჰქონდა. ხელის შეხებით კურთხევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ცერემონიას. ბიზანტიურ ხელოვნებაში ხშირად ვხვდებით კომპოზიციებს, სადაც უფალი მონარქებს გვირგვინებზე ეხება, ან გვირგვინს ადგამს თავზე (Grabar, 1946: 112), რაც სამეფო ხელისუფლების ღვთის მიერ ცხებულობას, ხელდასხმულობას გამოხატავს. ამის მიხედვით, მცხეთის ჯვრის რელიეფზეც კურთხევა-შეწყალებასთან ერთად, სტეფანოზ პირველის საერო ხელისუფლად უფლის მიერ ხელდასხმაცაა გადმოცემული (Khundadze, 2008:21–32). მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირველად, ჯერ კიდევ 6-7 საუკუნეთა მიჯნაზე, ერისმთავრობის ხანაში, სწორედ მცხეთის ჯვრის ტაძრის საკურთხევლის კედელზე, ხილულ ფორმაში გაცხადდა იმ საგვარეულოს უფლის მიერ კურთხევა-ხელდასხმა რომლიც ათას წელზე მეტ ხანს იმეფებს საქართველოში.

ამ საგვარეულოს უკვე მეფის წოდების მმართველის - აშოტ კურაპალატის (786-826) გამოსახულება გვხვდება ოპიზის რელიეფზე, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. აქ მეფე ეკლესიის მოდელით ხელში, მაკურთხეველ მაცხოვართან და ბიბლიურ მეფე დავითთან ერთად არის წარმოგენილი (Такаишвили, 1905: 56-59; ალადაშვილი, 1954: 553-558; Аладашвили, 1977: 68-74). დავით წინასწარმეტყველი, შუა საუკუნეების ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების (ქართლის ცხოვრება, 1955: 218-220, 251, 372-374; გიორგი მერჩულე, 1963: 243-319, 262; „გეორგიკა“, 1952: 255-256; მოვსეს ხორენაცი, 1984: 87, 102, 127) თანახმად, ბაგრატიონთა გვარის წინაპრადაა მიჩნეული და აქედან გამომდინარე, ამ რელიეფზე ბიბლიური მეფის გამოსახვა ბაგრატიონთა სამეფო გვარის ღვთაებრივ წარმომავლობას უსვამს ხაზს. აშოტ კურაპალატს მოსავს წვივებამდე დაშვებული კაბა მკერდზე გადახსნილი საყელოთი, რომელზეც მრგვალი შესაკრავებია დამაგრებული. წელზე კი, რომბის ფორმის ლითონის ფირფიტების იმიტაციის მოტივებით შედგენილი ქამარი აქვს შემორტყმული. ქამარი, სარტყელი ერთ-ერთ ოფიციალურ ინსიგნიას წარმოადგენდა (ჩოფიკაშვილი, 1964: 65-66; მაჩაბელი, 2013: 109-105).

საერო ხელისუფალთა გამოსახულებებით განსაკუთრებით მდიდარია მე-10-11 სს-ის არქიტექტურული სკულპტურა. მათი განთავსების ადგილი ტაძრის კედლებზე არ არის მკაცრად რეგლამენტირებული. ისინი გვხვდება როგორც ფასადის ქვედა არეზე, ისე საკურთხევლის სარკმელზე და გუმბათზეც კი. ამ პერიოდის სამეფო რელიეფური გამოსახულებები ზოგჯერ, შარავანდმოსილნი არიან, რაც ბიზანტიური საიმპერატორი იკონოგრაფიიდან მომდინარეობს და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას გამოხატავს (Алибегашвили, 1979: 73-74). ადრეულ შუა საუკუნეებში საერო ხელისუფალნი უფრო მოკრძალებულად - უშარავანდოდ, მუხლმოდრეკით, შემცირებული ზომით გამოისახებიან. X საუკუნიდან კი, ისტორიული პირები, მეტწილად ღვთაებრივ არსებათა თანაზომიერად, მათ წინაშე ფეხზე მდგომად წარმოგვიდგებიან. ამ პერიოდის რელიეფებზე ჩნდება სამეფო ძალაუფლების გამომხატველი მნიშვნელოვანი ინსიგნია - კვერთხი. ქართულ რელიეფებზე ძირითადად, ჯვრით დაგვირგვინებული გრძელტარიანი, მიწაზე დაბჯენილი, ან მოკლეტარიანი ჯვრისებრი სკიპტრები გვხვდება. ამგვარი კვერთხები ადრებიზანტიური ხანიდან ჩნდება იმპერატორთა გამოსახულებებებზე (Grabar, 1936:14; ჩოფიკაშვილი, 1964:150). რომის წარმართ მმართველთა სკიპტრების არწივის გამოსახულებიანი თავი შეიცვალა ჯვრით, რაც ქრისტიანი იმპერატორის რწმენისა და ღვთისმოსავობის სიმბოლოს წარმოადგენდა (Parani, 2003: 31-32).

ჯვრით დაგვირგვინებული კვერთხი გვხვდება სოფ. ბრეძის კვირაცხოვლის ეკლესიის (X ს.) (Чубинашвили, 1971: 27-65) რელიეფიზე (სურ. 3), რომელიც თავდაპირველად,

საკურთხევლის სარკმელს ამკობდა. მასზე წარმოდგენილ ფიგურას მარცხენა ხელში ეკლესიის მოდელი, მარჯვენაში კი, გრძელტარიანი, ჯვრით დასრულებული კვერთხი უჭირავს. კვერთხის დამაგვირგვინებელი ჯვრის მარჯვენა მკლავზე შემორჩენილია ცრემლის ფორმის რელიეფური მოცულობა, რომელიც შესაძლოა გამოსახავდეს ძვირფასი თვლის საკიდს, როგორსაც ვხვდებით ბიზანტიურ ნუმიზმატიკაში წარმოდგენილ სამეფო ლაბარუმებსა თუ კვერთხებზე (ბარნაველი, 1953: 73). ბრეძის ფიგურის თავის ორსავ მხარეს ამოკვეთილ ასომთავრულ გრაფემებში იკითხება სახელი „[სუმ]ბატ“. იგივე სახელი მეორდება ფილის მარჯვენა მხარეს განთავსებულ სამშენებლო წარწერაშიც -„[წმინდამან] გ[იორგი] ღირს მყო აღშენებად წმიდისა ეკლესიისა [სადიდებლად] ქა[რთლისა] .. ის .. სმბა[ტისა] და [სახსრად] ჩემა[დ] და ძ[ი]სა ჩემისა“ (Чубинашвили, 1971: 56). ამ წარწერაშიც მხოლოდ სახელი იკითხება, მის წინ კი, ქვის ზედაპირი, სადაც სავარაუდოდ, სუმბატის ტიტული უნდა ყოფილიყო აღნიშნული, დაზიანებულია. ამ დროს ცნობილია სუმბატ პირველი, კლარჯეთის მეფე. საეჭვოა, რომ საქართველოს გაერთიანებამდელ ხანაში, მაშინ, როცა საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებადაა დაყოფილი, ბრეძაში, შიდა ქართლში, კლარჯეთის მმართველი გამოესახათ. შესაძლოა, ის ამ რეგიონის ფეოდალი იყოს. მისი შესამოსელიც არ შეიცავს სამეფო ნიშნებს - სადა, ტანზე მომდგარი, ქვემოთ ოდნავ გაფართოებული, მოკლე კაბა, როგორიც ზოგადად მოსავთ ქართული რელიეფების საერო პირებს (ჩოფიკაშვილი, 1964: 24). საგულისხმოა, რომ საქართველოში მეფეთა და ფეოდალთა სამოსელი დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც ჩანს ფრესკულ მხატვრობაშიც (Привалова, 1977: 49-50) და დასტურდება ისტორიულ წყაროებშიც („ძეგლი ერისთავთა“, 1954: 346). ბრეძის ქტიტორის სამოსი ოპიზის მეფისას ჰგავს, თუმცა ბრეძის ფიგურის კაბაზე არ არის აღნიშნული საყელო, ქამარი, საკინძე. თავზე მას პატარა, ზევით დავიწროებული ქუდი ახურავს. ფეხზე კი, საერო პირთა გამოსახულებების სახასიათო უქუსლო, მაღალყელიანი ჩექმები აცვია. ამრიგად, ბრეძის რელიეფის სუმბატის მაღალ სტატუსზე მხოლოდ მისი გრძელტარიანი, ჯვრით დასრულებული კვერთხი მიანიშნებს (Khundadze, Sabashvili, 2024: 102).

ამგვარი, ჯვრით დაგვირგვინებული, მიწაზე დაფუძნებული კვერთხი წარმოდგენილია სარკმლის სათაურის დიდ ფილაზე (67-82-24 სმ.) იჯარეთის (სურ. 4) ეკლესიიდან (ბოჭორიძე, 1992: 79-80). ფილაზე ორი მამაკაცია გამოსახული. მარცხნივ მდგომ ფიგურას მარცხენა ხელში უჭირავს დიდი ჯვრით დასრულებული ლაბარუმისებრი სკიპტრა. მარჯვენა ხელი წელთან, თითქოს ქამარზე უდევს. ამ ფიგურას გრძელი, მარტივი ორნამენტით დაფარული კაბა მოსავს და თავზე ვიწრო ზოლად შარავანდის აღმნიშვნელი ვიწრო რკალი ევლება. მეორე ფიგურას, რომელიც უფრო მცირე ზომისაა, შარავანდი არ გააჩნია. მას ხელები მკერდზე აქვს დაწყობილი და შიდა სამოსზე სადა მოსასხამი მოსავს. ამ ფიგურათა ამგვარი დიფერენცირება მიუთითებს იმაზე, რომ მარცხენა ფიგურა მარჯვენაზე უფრო მაღალი რანგის სოციალური სტატუსის წარმომადგენელი, შესაძლოა უმაღლესი საერო ხელისუფალიც კი იყოს. ამ თვასაზრისით საგულისხმოა რელიეფის ზედა ნაწილში ამოკვეთილ, დაზიანებულ წარწერაში ამოკითხული სიტყვა „მეფე“, რაც ჩვენი ვარაუდის კიდევ ერთ საბუთად შეიძლება გამოდგეს (Khundadze, Sabashvili, 2024: 102-103).

განსხვავებული - უფრო მოკლეტარიანი, მსუბუქი, ჯვრულთავიანი სკიპტრა უჭირავს ხელში კარბის ეკლესიის (სხირტლაძე, ჩიტიშვილი, 2008: 76-100) რელიეფზე წარმოდგენილ ფიგურას. გამოსახულება ტაძრის დასავლეთი ფასადის ზედა არეზე, მოზრდილ ფილაზეა (54-65 სმ.) გამოკვეთილი. ის შარავანდმოსილია, რაც კვერთხთან ერთად, მის უმაღლეს წოდებრივ ხარისხზე მიუთითებს. ამავე ფილაზე, ფიგურის გვერდით, ამოკვეთილია წარწერა, რომელიც

დაზიანების გამო, სამწუხაროდ, აღარ იკითხება. სავარაუდოდ, წარწერაში აღნიშნული იქნებოდა გამოსახული პირის სახელი და წოდება.

ამგვარივე, მსუბუქი ჯვრისებრი სკიპტრა გვხვდება დირბის ეკლესიის (გაგოშიძე, ჩიხლაძე, 2006: 8-77) აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონში წარმოდგენილი ფიგურის ხელში. გ. გაგოშიძის მოსაზრებით, ეს პიროვნება ეკლესიის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ლეონ III აფხაზთა მეფეა (957-967), რომლის გვერდითაც მისი ძმა - დემეტრეა გამოსახული (გაგოშიძე, ჩიხლაძე, 2006: 29-30, 44-56). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორივე ფიგურა შარავანდმოსილია.

იგივე ლეონ აფხაზთა მეფის შარავანდმოსილი რელიეფური გამოსახულება გვხვდება კუმურდოს ტაძარში (X ს.) (Северов, Чубинашвили, 1947, 6; გუნია, 2019: 136-152). აქ ლეონისა და მისი დის - ქართლის დედოფლის - გურანდუხტის ფიგურები ინტერიერში, საკურთხევლის ორსავ მხარეს მიმდებარე გუმბათქვეშა ტრომპებშია წარმოდგენილი (Аладашвили, 1977: 94-96; Eastmond, 1998: 34-38; დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე 2017: 140). დედოფლის გამოსახულება (სურ. 5) იდენტიფიცირებულია მის გვერდით ამოკვეთილი წარწერით - გ(უ)რ(ან)დ(უხ)ტ (ლაპიდარული წარწერები 2, 1980: 43), ხოლო ლეონ მეფე მოხსენიებულია ტაძრის სამშენებლო წარწერაში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ჯავახეთი ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შედის (ბერძენიშვილი, 1964: 52). ლეონ მეფის გამოსახულება (სურ. 6) მისი გარდაცვალების შემდგომ უნდა იყოს შესრულებული. ლეონ მეფე გარდაიცვალა 967 წელს (ჯავახიშვილი, 1948: 104). კუმურდოს ტაძრის მშენებლობა, როგორც სამშენებლო წარწერიდან არის ცნობილი, 964 წელს დაიწყო. ცხადია, ასეთი დიდი ტაძარი სამ წელიწადში ვერ აშენდებოდა და მისი გუმბათის ამოყვანისას ლეონ მეფე გარდაცვლილი იქნებოდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ სამშენებლო წარწერის იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია ეკლესიის ბალავრის დადებაზე, ლეონ მეფის ნაცვლად, ზვიად ერისთავია მოხსენიებული (ცისკარიშვილი, 1959: 11). სავარაუდოა, რომ აქ, ლეონის შარავანდი მეფურ დიდებასთან ერთად, მის „სხვა სამყაროში“ ყოფნასაც აღნიშნავდეს. ეს იმითაც არის ხაზგასმული, რომ მეფის ფიგურის გასწვრივ, მეორე ტრომპში გამოკვეთილ დედოფალ გურანდუხტს შარავანდი არ გააჩნია. გურანდუხტის ფიგურა უფრო „მოძრავია“ ლეონის მკაცრად ფრონტალურ, გულხელდაკრეფილ გამოსახულებასთან შედარებით. მას თავი გვერდზე აქვს გადახრილი, ხელები საკურთხევლისკენ ვედრების ჟესტით გაწვდილი და თითქოს გარდაცვლილი ძმის სულისთვის ლოცულობს. ლეონს შიდა გრძელ სამოსზე ორნამენტული არშიებით გაწყობილი “ცრუსახელოიანი“ მოსასხამი მოსავს. გურანდუხტის სამოსი ქართულ რელიეფებზე წარმოდგენილი ქალთა გამოსახულებების შესამოსელის ანალოგიურია (ხუნდაძე, 2020: 166178) - ის, წესისამებრ თავდაბურულია, მოსავს გრძელი შიდა კაბა და უფრო მოკლე მოსასხამი, რომლსაც მარტივი - წრიული რგოლებით შედგენილი ორნამენტული არშია დაუყვება. დედოფალს მკერდზე შესამჩნევად დიდი ზომის ჯვარი ჰკიდია. როგორც ვხედავთ, გურანდუხტის შესამოსელი არ შეიცავს განსაკუთრებულ, სამეფო ნიშნებს, თუმცა, ძნელია გავიხსენოთ ქალის, თუნდაც დედოფლის ტაძრის ასეთ უმნიშვნელოვანეს ადგილას გამოსახვის მაგალითი შუა საუკუნეების ხელოვნებაში. ამის პარალელად შეიძლება მოვიყვანოთ რავენის სან ვიტალეს ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოზაიკა (მე-6 ს.) იმპერატორ იუსტინიანე 2-ის მეუღლის - თეოდორასა და მისი მხლებლების გამოსახულებით. (Grabar, 1966: 159-163; Лазарев, 1986: 45-46, 57; Coche de la ferté, 1981: 38). საერო ხელისუფალთა ფიგურების განთავსება კუმურდოს ტაძრის ლიტურგიკულ სივრცეში - გუმბათის ყელთან,

საკურთხევლის გვერდით, მეფეთა განსაკუთრებულ განდიდებას, ღვთივკურთხეულობას და, ამავდროულად, მათ პოლიტიკურ ამბიციებსაც გამოხატავს.

ამგვარი იდეაა გადმოცემული დოლისყანის (ისტორიული კლარჯეთი) ტაძრის (X ს.) (ჯობაძე, 2007: 74-89; ხოშტარია, 2005: 111-125) საქტიტორო რელიეფში. კუმურდოს სამეფო გამოსახულებების მსგავსად, სუმბატ მეფის (954-958) ფიგურა ეკლესიის მოდელით ხელში ტაძრის უმაღლეს სფეროშია წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, მეფის ფიგურა, ექსტერიერში - გუმბათის ყელზეა გამოკვეთილი. მისი ასეთი თამამი ადგილმდებარეობა მეფის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას უვამს ხაზს. სუმბატის მეფურ ამბიციას გამოხატავს მისი შარავანდმოსილობაც. ამასვე ადასტურებს მისი გამოსახულების თანმდევი სინგურით დაფერილი წარწერის ტექსტიც - "ქრისტე ადიდე მეფე ჩუენი სუმბატ". იგივე ტექსტი მეორდება სამხრეთი ფასადის სარკმლის წარწერაში, რომელსაც ემატება სიტყვა "მზეგრძელობით" (ლაპიდარული წარწერები -1, 1980: 290-291), რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ცოცხალი მეფის განდიდების იდეას. სარკმლის წარწერის სიტყვები იქ გამოკვეთილ გამოსახულებებთან ერთად უნდა იყოს გააზრებული - სიტყვა აქ მეფის გამოსახულებას ენაცვლება, სარკმლის ორსავ მხარეს წარმოდგენილი მთავარანგელოზთა ფიგურები კი მის მფარველებად აღიქმებიან. გაბრიელ მთავარანგელოზის ფიგურის ქვეშ, ცალკე, ნათელი ფერით გამორჩეულ ფილაზე გამოკვეთილი ექვსქიმიანი ვარსკვლავი - "დავითის ბეჭედი", ბაგრატიონთა გვარის ბიბლიური მეფე დავითისგან წარმომავლობის ხატოვანი დადასტურებაა. ე.ი. ის იდეა, რაც ოპიზის რელიეფზე დავით წინასწარმეტყველის გამოსახვით არის გადმოცემული, დოლისყანაში სიმბოლურად „დავითის ვარსკვლავის" სახითაა წარმოჩენილი (Khundadze, Sabashvili, 2024:103-105).

მრავალმხრივ საინტერესოა ტბეთის (ისტორიული შავშეთი) კათედრალის (X ს.) მეფის სკულპტურა (სურ. 6), რომელიც თბილისის ხელოვნების მუზეუმშია დაცული (მაჩაბელი, 1968: 150-162; Аладашвили, 1977: 87-89; Eastmond,1998: 9-17; ჯობაძე, 2007: 245-259; მაჩაბელი, 2012: 74-95). ფიგურა გამოირჩევა საკმაოდ დიდი ზომით - ნატურალურთან მიახლოვებული სიმაღლთ (113 სმ.) და პროპორციით (თავი სხეულთან - 1X4); სხეულის მოცულობითად, ჰორელიეფურად (რელიეფის სიმაღლე - 10-12 სმ.) გამოკვეთით, რაც სიახლეა შუა საუკუნეების ქართული სკულპტურისთვის. მოქანდაკემ უმაღლესი ხელისუფალი მთელი სიდიადით წარმოგვიდგინა. ეს გამოვლენილია როგორც გამოსახულების დიდ ზომასა და მონუმენტურობაში, ისე მდიდრულ შესამოსელში. მას მოსავს ორნამენტირებული შიდა კაბა წელზე დიდი ბალთით და ლომების გამოსახულებებით დამშვებული „ცრუსახელოებიანი" მოსასხამი. ამგვარსახიან ქსოვილს ძველ საქართველოში სპეციალური სახელიც კი ჰქონდა - "ლომოანი" (მაჩაბელი, 2013: 119), რომელიც სამეფო სამოსისთვის იყო განკუთვნილი, რადგან ლომების გამოსახულებები ხაზს უსვამს მეფის ძალმოსილებას. საინტერესოა მისი ჩალმისებრი თავსაბურიც, რომლის მსგავსი გვხვდება იშხნის ტაძრის რესტავრაციის დროს აღმოჩენილი და რიზეს მუზეუმში გადატანილი რელიეფის ქტიტორის გამოსახულებაზე (კუდავა, საითიძე, 2015: 184-196; დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017: 224-225, 474; სხირტლაძე, 2022: 233-300). ჩალმისებრ თავსაბურს გხვდებით თანადროულ სომხურ სამეფო გამოსახულებებზეც, მაგ., ახპატის რელიეფზე წარმოდგენილი ძმების სუმბატ და გურგენ ბაგრატუნების და ანისის მეფე გაგიკ ბაგრატუნის ფიგურები (Documenti, 1968: 8, 9), თუმცა სომხური რელიეფების თავსაბური უფრო მეტად გავს ჩალმას, რომელიც თავზე ჩამოიცმევა. ტბეთის ფიგურისა კი, წარმოადგენს გრძელ, დაგრეხილ ქსოვილს, რომელიც თავზეა დახვეული და კეფაზე განასკვული. ნიკო მარი ტბეთის ფიგურის თავსაბურს, „შავშეთურ

ყაბალახს“ უწოდებს, რომელსაც მის დროსაც ატარებდნენ ამ რეგიონში (Mapp, 1911: 15). ნიკოლ ტიერი ამგვარი თავსაბურის პარალელებად ასახელებს ოშკის მე-11 ს-ის მოხატულობაში წარმოდგენილ პატრიკ ჯოჯიკის თავსაბურს (Thierry, 1986: 136. ილ. 4, 5; Thierry, Thierry, 1999: 77–100, 88). ამგვარი თავსაბურავები ბიზანტიაში მე-11-12 სს-დან ჩნდება, საქართველოსა და სომხეთში კი მე-10 ს-ის ნიმუშებზე. შესაძლოა, კავკასიური კოსტუმის გარკვეული ელემენტები ათვისებული იყო ბიზანტიაში, რასაც აღნიშნავს მარია პარანი. მკვლევარი მოიხმობს ევსტათე თესალონიკელის ცნობას ანდრონიკე 1 კომნენოსის თავსაბურავის საქართველოდან წამოღებისა და ანდრონიკეს ბიძაშვილის, თესალონიკელი გენერლის - დავით კომნენოსის წითელი ქუდის ქართული სტილის მიბაძვით შექმნის შესახებ (Parani, 2003: 68-69, 78, 77). თვითმხილველთა ცნობით ტბეთის ფიგურა გუმბათური ეკლესიის მოდელით ხელში მოთავსებული იყო ტაძრის ინტერიერში, დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ პილასტრზე. მათი მოსაზრებით ის პირვანდელ ადგილას არ მდებარეობდა (Mapp, 1911: 15-16). მართლაც, სავარაუდოა, რომ ასეთი მონუმენტური გამოსახულება შორი მანძილიდან აღქმაზე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და ფასადზე მოთავსებული. როგორც ძველი ავტორები აღნიშნავენ, ქტიტორის ფიგურას ორსავ მხარეს წარწერა ერთვოდა, რომელიც მაშინაც აღარ იკითხებოდა (Mapp, 1911: 15-16). წარწერის ტექსტი, სადაც შესაძლოა, გამოსახული პირი იქნებოდა მოხსენიებული, სავარაუდოდ, გაარკვევდა ამ სკულპტურის არაერთგვაროვანი იდენტიფიკაციის საკითხს. ისტორიული წყაროების თანახმად, ტბეთის კათედრალის მაშენებლია ერისთავთ-ერისთავი – აშოტ II კუხი (ქართლის ცხოვრება, 1955: 260, 380). ამიტომ ეს გამოსახულება აშოტ კუხთან გაიგივდა და მისი მმართველობის წლებით (891-918) დათარიღდა (Mapp, 1911: 11-25). XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ტბეთის ტაძრის არქიტექტურის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა რემდენიმე სამშენებლო ფენა (IX-X სს., X ს.-ის შუა და X-XI სს.) და გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს რელიეფი არ მიეკუთვნება აშოტ კუხისეულ თავდაპირველ ეკლესიას (Thierry, Thierry, 1999: 87-89; ხუსკივაძე, 2003: 77; გაგოშიძე, ჩიხლაძე, 2006: 74). მართლაც, ამ გამოსახულების მხატვრულ შესრულება, თითქოს ვერ თავსდება IX-X სს-ის მიჯნის ქართული რელიეფური პლასტიკის საერთო სურათში. ჩვენი ვარაუდით, ეს სკულპტურა, ტაძრის მეორე აღმშენებლობის პერიოდს (X ს. 50-60-იანი წწ.) უნდა ეკუთვნოდეს (ხუნდაძე, 2013: 49-51). გიორგი გაგოშიძის მოსაზრებით, შესაძლოა, ის ბაგრატიონთა გვარის კლარჯული შტოს მე-10 ს-ის მმარველს გამოსახავდეს (გაგოშიძე, ჩიხლაძე, 2006: 74, შენ.129).

საერო ხელისუფლების მეუფების თემა ყველაზე ფართო ასპექტით ოშკის ტაძრის (963-973) გამოსახულებებში აისახა (Такаишвили, 1952: 45-67; Winfield, 1968: 39-40; ჯობაძე, 2007: 112-163). ორი ძმის - დავით მაგისტროსის (შემდგომში კურაპალატი) და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის წყვილადი სამეფო პორტრეტი აქ სამგზის, სხვადასხვა ადგილას და განსხვავებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება. ტაძრის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილზე, ისინი გუმბათური ეკლესიის მოდელებით ხელში წარმოდგენილნი არიან “ვედრების” სცენის ორსავ მხარეს (სურ.7). მეფეთა ფიგურების თანმხლებ წარწერებში გადმოცემულია ლოცვა-ვედრება ამ ხელისუფალთა ამქვეყნიურ კეთილდღეობაზეც – “...მონაი ღმრთისაი მეფე ჩუენი დავით მაგისტროსი (ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი)… ადიდენ ღმერთმან ორთავ ცხორებათა მაშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისაი ამენ” (თაყაიშვილი, 1960: 53). ორივე ხელმწიფე აქ სიცოცხლეშია გამოსახული, რასაც წარწერის ტექსტთან ერთად, ხაზს უსვამს მათი სწორკუთხა შარავანდებიც. მეფეთა ძალმოსილება ხაზგასმულია წარწერებში მათი ტიტულების აღნიშვნითა და მდიდრული, ბიზანტიური ყაიდის სამოსითა და გვირგვინებით. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ იმპერიის მოკავშირე ქვეყნების მეფეები იმპერატორისგან

ბიზანტიურ წოდებებთან ერთად, ამ ტიტულების შესაბამის საზეიმო შესამოსელსაც იღებდნენ საჩუქრად. ოშკის ტაძრის ერთ-ერთ ქტიტორსაც - დავითს, იმპერატორმა რომანოზ II -მ კურაპალატობა უბოძა და სამოსითა და წარჩინების ნიშნით დააჯილდოვა (ჯობაძე, 1991: 37). ოშკის მეფეებს მოსავთ ქლამიდები - ბიზანტიური საკარისკაცო სამოსი, რომელიც ირანული წარმომავლობის ზოომორფული სახეებითაა დამშვენებული, რაც ცნობილი იყო როგორც ბიზანტიურ, ასევე კავკასიურ ხელოვნებაში. ოშკის ქტიტორის ქლამიდის მსგავსი არწივებით შემკული ქლამიდა მოსავს აღთამარის ტაძრის (915-921) დასავლეთ ფასადზე გამოსახულ სომეხთა მეფე გაგიკ არწრუნის (Der Nersessian, 1964: 7). ოშკის მეფეებს თავებზე დაბალი, ძვირფასი თვლებით შემკული გვირგვინები ადგათ. ნაწილობრივ შემორჩენილია დავითის გვირგვინი, რომელიც თანადროული ბიზანტიური გვირგვინების მსგავსია, მაგ., იმპერატორ რომანოზ II და ევდოკიას გვირგვინები სპილოსძვლის რელიეფზე (Grabar, 1946: 25). თუმცა საიმპერატორო გვირგვინს - სტემას დამატებით, შუაში ჯვარი და გვერდებზე - საკიდები ე.წ. პენდილიები ამშვენებს. საინტერესოა, რომ ოშკის ბაგრატის გამოსახულების დაზიანებული გვირგვინის გვერდებზე კარგად შეიმჩნევა პენდილია, რისი ტარებაც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ იმპერატორთა პრეროგატივა იყო. ამ ფაქტს ვახტანგ ჯობაძე ქართველი მეფის მიერ „საიმპერატორო სტატუსის უზურპაციით“ ხსნის (ჯობაძე, 1991: 33). ენტონი ისტმონდი კი თვლის, რომ ეს მხოლოდ შიდა აუდიტორიაზე იყო გათვლილი (Eastmond, 1998: 30). როგორც ჩანს, ქართველი მეფეები საიმპერატორო ძალაუფლების სიმბოლოებს მხოლოდ ქვეყნის შიგნით თავისი იდეოლოგიის გასამყარებლად იყენებდნენ და ბიზანტიის იმპერატორებთან გათანაბრებას სამოსსა და ინსიგნიებში სხვადასხვა დეტალების გამოყენებით ცდილობდნენ (ბულია, 2005: 173). სკულპტურულობის განვითარების მიმართულებით, ოშკის „ვედრების“ ჯგუფი, ტბეთის ფიგურასთან შედარებით, უფრო მაღალ საფეხურს წარმოგვიდგენს. აქ, ფიგურათა პროპორციები კიდევ მეტად დაგრძელებული და დახვეწილია (თავი სხეულთან - 1X7), ფიგურათა სიმაღლე კი თითქმის ნატურალურია - 146 სმ. პორელიეფურად გამოკვეთილი გამოსახულებები ნაწილობრივ სცილდება კედელს და მრგვალ ქანდაკებას უახლოვდება. ოშკის სკულპტურული გამოსახულებების ამგვარ სტილურ გადაწყვეტაში აშკარად ჩანს ამ პერიოდის - მაკედონელთა ხანის ბიზანტიურ ხელოვნებაში მომძლავრებული ანტიკურ-ელინისტური ფორმების გავლენა. ეს კი, ტაო-კლარჯეთის სამეფოს ბიზანტიის საიმპერატორო კართან ახლო კავშირით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ ჯობაძე ოშკის დახვეწილ ნატიფ ფიგურებს X საუკუნის ბიზანტიურ სპილოს ძვლის გამოსახულებებს ამსგავსებს (ჯობაძე, 1991: 19).

ამ სამეფო წყვილის მეორე გამოსახულება (სურ. 8) ტაძრის ინტერიერში, სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯის აღმოსავლეთისკენ მიმართული ნიშის ორსავ მხარეს მცირე ზომის (35X48 სმ.) ბიუსტების სახითაა წარმოდგენილი. ეს ნიშა, მკვლევართა მოსაზრებით, ლიტურგიის დროს მეფეთა სადგომს წარმოადგენდა (ჩიტიშვილი, 2014: 193-208). სამეფო პორტრეტი აქ, განსხვავებული შინაარსობრივი კონტექსტით არის გადაწყვეტილი - საქტიტორო თემას მეფური ძალმოსილების იდეა ცვლის - იგივე პიროვნებათა მდიდრულ, ძვირფასი თვლებით გაწყობილ სამოსსა და გვირგვინებს, ძალაუფლების კიდევ ერთი სიმბოლო - ჯვრისებრი სკიპტრაც ემატება, რომელიც ორივე ძმას მარჯვენა ხელთ უპყრია. მათი მარცხენა ხელის ჟესტიც უფრო სატრიუმფო მისალმების ხასისიათისაა, ვიდრე ლოცვითი (Matiashvili, 2023: 21-22). ამ შემთხვევაში ორივე ხელისუფალის გვირგვინი ერთნაირია და „ვედრების“ სცენასთან გამოსახულ დავით მაგისტროსის გვირგვინის ფორმას იმეორებს. იგივე ხელისუფალთა კიდევ ერთი გამოსახულება 2003 წელს იქნა აღმოჩენილი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში მოწყობილი მეჩეთის აღმოსავლეთისკენ მიმართულ

კედელში ჩაშენებულ ორ სტელაზე (სილოგავა, 2006: 64-105, 150-156). ეს სტელები ამჟამად ერზერუმის მუზეუმშია დაცული (სურ. 9). ერთ, უფრო მაღალ (157 სმ.) ფილაზე ნიკოპეას ტიპის ღმრთისმშობლის გამოსახულების ქვევით დავით კურაპალატია წარმოდგენილი, მეორეზე (130 სმ.) კი, იოანე ნათლისმცემლის ქვეშ, ბაგრატის ფიგურაა გამოკვეთილი. ორივე ფილის მოჩარჩოება და ზურგი სინგურით დაფერილი ასომთავრული წარწერებითაა შევსებული. აქ არც საქტიტორო თემა ჟღერს და არც სამეფო ძალმოსილების დემონსტრაცია – გვირგვინებს და სკიპტრებს ქუდები და ლოცვის ჟესტები ცვლის. წარწერის ტექსტიც, რომლის მიხედვითაც იმ ხანად ბაგრატი გარდაცვლილია, დავითი კი ცოცხალი, სულის ხსნაზე ვედრებითაა განმსჭვალული. ამასთანავე, ის დავითის მეფობის დალოცვასაც შეიცავს – "დიდებულმცა არს მეფობა დავითისი და მიანიჭე სიმრთელით დღეგრძელობაი და მტერთა მიმართ მძლეობაი" (სილოგავა, 2006: 68-81). ვალერი სილოგავას მოსაზრებით, ამ ფილებს მემორიალური დანიშნულება ჰქონდა და აღმოჩენის ადგილას, გვირგვინოსანი ძმების სამარხებზე უნდა ყოფილიყო აღმართული (სილოგავა, 2006: 115,121).

ოშკის ტაძრის სხვადასვა სივრცეში ერთიდაიგივე ხელისუფალთა სამგზის გამოსახვას პარალელი არ ეძებნება და შუასაუკუნოვან ქართულ სინამდვილეში უპრეცედენტოა. მეფეთა გამოსახულებებთან ერთად, ეკლესიის წარწერების ტექსტები ადასტურებს, რომ ოშკის ტაძრის პროგრამაში სამეფო ხელისუფლების განდიდების თემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავსართზე მეფეთა მადიდებელი წარწერის ქვეშ გამოკვეთილი "დავითის ვარსკვლავი" კი, დოლისყანის ეკლესიის გამოსახულების მსგავსად, ბაგრატიონთა ბიბლიურ წარმომავლობას შეგვახსენებს.

საინტერესო სკულპტურულ თავებს ვხვდებით ბაგრატ III-ის მიერ X-XI სს-ის მიჯნაზე აგებულ ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში, რომელიც ბაგრატის ტაძრის (ბერიძე, 2014: 255-259) სახელითაა ცნობილი. აქ, სამხრეთი ფასადის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ორი წვეროსანი მამაკაცის სკულპტურული თავი. ეს თავები მხოლოდ კეფაზე არსებული შვერილებით უკავშირდებიან კედლის სიბრტყეს და მრგვალი ქანდაკების დარად, სივრცეში თავსდებიან (სურ. 10). მათი სახის ნაკვთები მოცულობითაა გამოვლენილი. სკულპტურულობის თვალსაზრისით, ისინი ოშკის ტაძრის გამოსახულებებზე უფრო განვითარებულ ეტაპს წარმოადგენს. ბაგრატის ტაძრის თავები, მხატვრული გადაწყვეტით, ერთგვარი შინაგანი დაძაბულობით, ექსპრესიულობით დასავლეთ ევროპის რომანული ეპოქის გამოსახულებებთან იწვევს ასოციაციას (Аладашвили, 1977: 135-140). რაც შეეხება ბაგრატის ტაძრის თავების იდენტიფიკაცას, შესაძლოა, ერთი მათგანი თავად ბაგრატ III-ს განასახოვნებდეს. ბუნებრივია, რომ ბაგრატის ტაძრის კედელზე მისი მაშენებელი მეფის პორტრეტი წარმოედგინათ. ამას ადასტურებს ოშკის ტაძრის მეფეთა მსგავსი ფორმის, დაბალი გვირგვინი, რომელიც შედარებით უკეთ შემორჩა მარცხენა თავზე. მეორე მამაკაცის გამოსახულება კი, შესაძლოა, ბაგრატ III-ის მამა - გურგენ ქართველთა მეფე იყოს, რომელიც იმ დროს თავისი ძის თანამეფე იყო (ჯავახიშვილი, 1983: 130-131). გურგენ მეფე ბაგრატთან და დედოფალ გურანდუხტთან ერთად იხსენიება ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის წარწერაში (ლაპიდარული წარწერები II, 1980: 53-54) და სავარაუდოა, რომ გარკვეული ღვაწლი მასაც მიუძღვის ამ ტაძრის მშენებლობაში. ამიტომ გამორიცხული არ უნდა იყოს მისი გამოსახვა თავის ძესთან ერთად ბაგრატის ტაძრის ფასადზე.

განხილულმა მასალამ გვაჩვენა თუ როგორი განსხავებული შინაარსობრივი ინტერპრეტაციით და სტილური გადაწყვეტით აისახა საერო ხელისუფალთა მეუფების თემა შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში. ამ გამოსახულებათა ატრიბუტიკის დახმარებით კი

ნათლად წარმოჩინდა, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების გამომხატველი ადგილობრივი რეგალიები, ისე სხვადასხვა პერიოდში საქართველოს დიპლომატიური ორიენტაცია, პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები და კავშირები.

მე-11 ს-ის შემდგომი ხანის ქართულ სკულპტურაში საერო ხელისუფალთა გამოსახულებანი აღარ შემორჩენილა. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს საქართველოში სწორედ ამ პერიოდიდან საეკლესიო კედლის მხატვრობის განსაკუთრებული გავრცელებითა და განვითარებით, სადაც ისტორიულ პირთა გამოსახულებებს, მათ შორის სამეფო პორტრეტებს საპატიო ადგილი ეთმობა და კიდევ უფრო უხვი, მრავალფეროვანი ატრიბუტიკით წარმოჩინდება (Алибегашвили, 1979; Eastmond, 1998).

გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი, გ. (2012). *ატენის სიონი,* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

ალადაშვილი, ნ. (1954). რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მოამბე“*, ტ. XV, # 7, თბილისი, გვ. 553-558.

ამირანაშვილი, ჯ. (1968). *ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბარნაველი, ს. (1953). *ქართული დროშები,* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბერიძე, ვ. (2014). *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია,* ტ. 1, თბილისი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ბერძენიშვილი, ნ. (1964). *საქართველოს ისტორიის საკითხები,* ტ. 1, თბილისი.

ბოჭორიძე, გ. (1992). *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბულია, მ. (2005). ისტორიულ პირთა გამოსახულებები “ნათლისმცემლის“ მონასტრის საკრებულო ტაძარში, *საქართველოს სიძველენი,* 7-8, თბილისი, გვ. 168-210.

გაგოშიძე გ., ჩიხლაძე ნ. (2006). *დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი,* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამომცემლობა.

გეორგიკა, ტ. 3, (1936). *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,* ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გეორგიკა, ტ. 4, ნაკვ. 2, (1952). *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,* გამოცემა და თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გიორგი მერჩულე, (1963). *ცხორება გრიგოლ ხანცთელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* წიგნი 1, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, გვ. 243-319.

გუნია, დ. (2019). *კუმურდოს კათედრალი,* თბილისი: გამოცემულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.

დადიანი, თ., კვაჭატაძე, ე., ხუნდაძე, თ. (2017). *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება.* თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“.

თაყაიშვილი, ე. (1960). *1917 წლის არქეოლოგიური ექპედიცია სამხრეთ საქართველოში,* თბილისი.

თუმანიშვილი, დ., ხოშტარია, დ., ხუნდაძე, თ. (2008). *მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი,* თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“.

კაპანაძე, დ. (1950). *ქართული ნუმიზმატიკა,* თბილისი: სახელმწოფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კუდავა, ბ. საითიძე, გ. (2015). ახლად აღმოჩენილი საკტიტორო რელიეფი იშხნიდან, *საქართველოს სიძველენი* #18, თბილისი, გვ. 184-196.

ლაპიდარული წარწერები 1, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (მე-5-10 სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა (1980). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ლაპიდარული წარწერები II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ (1980). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მაჩაბელი, კ. (1968). აშოტ კუხის რელიეფი ტბეთიდან, *„მაცნე“* #5, თბილისი, გვ. 150-162.

მაჩაბელი, კ. (2008). *ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები,* თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“.

მაჩაბელი, კ. (2012). აშოტ კუხის ტბეთის რელიეფური პორტრეტის ინტერპრეტაციისათვის, *საქართველოს სიძველენი, №15,* თბილისი, გვ. 74-95.

მაჩაბელი, კ. (2013). *ქართული ისტორიული კოსტიუმი,* მე-5-მე-10 საუკუნეები, თბილისი: გამოცემულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

მოსე ხორენელი, (1984). *სომხეთის ისტორია,* ძველსომხურიდან თარგმნა და ანოტაციები შეადგინა ალექსანდრე აბდალაძემ, წიგნი 1, თავი 22, თბილისი.

პატარიძე, მ. (2022). *დავით აღმაშენებელი. ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა,* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

სილაგაძე, ნ. (2017). სტელა „ლამაზი გორას“ სამონასტრო კომპლექსიდან: ძველი აღმოჩენა ახალი თვალთახედვით, *საერთაშორისო კონფერენციის „მიჯნაზე: დრო და სივრცე“ მასალები,* თბილისი, გვ. 59-78.

სილოგავა, ვ. (2006). *ოშკი, მე-10 საუკუნის მემორიალური ტაძარი,* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

სხირტლაძე ზ. (2022). საქტიტორო რელიეფი იშხანიდან - დაკვირვებები და მოსაზრებები, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები* #8, გვ. 233-300.

სხირტლაძე, ზ., ჩიტიშვილი, ნ. (2008). კარბის წმ. სამების ეკლესია, *საქართველოს სიძველენი,* # 12, თბილისი, გვ. 76-100.

ქართლის ცხოვრება, ტ. 1. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.

ჩიტიშვილი, ნ. (2014). მეფე-დედოფლის სამყოფელი ქართული ეკლესიის სივრცეში, *საქართველოს სიძველენი* # 17, თბილისი, გვ. 193-208.

ჩოფიკაშვილი, ნ. (1964). *ქართული კოსტიუმი,* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ცისკარიშვილი, ვ. (1959). *ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო,* თბილისი.

ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, (1954). შ. მესხიას რედაქციით, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* გამოც. 30, გვ. 305-374, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ხოშტარია, დ. (2005). *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები,* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ხუნდაძე, თ. (2013). მეფეთა გამოსახულებანი ტაო-კლარჯეთის IX-X სს-ბის ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში, *„Academia“, N3*, თბილისი, გვ. 46-58.

ხუნდაძე, თ. (2020). ქალთა გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ ქვის ქანდაკებაში, *წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ - მასალები,* გვ. 166-178, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ხუსკივაძე, ლ. (2003). ოშკის სკულპტურულ „ვედრებათა“ თავისებურებების შესახებ, *საქართველოს სიძველენი,* # 3,თბილისი, გვ. 59-90.

ჯავახიშვილი ივ. (1948). *ქართველი ერის ისტორია,* წიგნი 2, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ივ. (1983). *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. II, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯობაძე, ვ. (1991). *ოშკის ტაძარი,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯობაძე, ვ. (2007). *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

Der Nersessian, S. (1964). *Aght'amar, Church of the Holy Cross*, Cambridge, Mass.

Djobadze, W. (1960, 1961). The Sculptures on the Eastern Facade of the Church of Holy Cross of Mtskheta, in: *Och*, 44 (112-135), 45 (70-77), Wiesbaden.

Documenti di architettura Armenia – Documents of Armenian Architecture, (1968). vol. 1, Milano.

Coche de la ferté, E. (1981). *L'art de Byzance*. Paris.

Eastmond, A. (1998). *Royal Imagery in Medieval Georgia*. Pennsylvania: University Park, PA.

Grabar, A. (1936). *L'empereur dans l'art byzantin*, Paris: Publications de la faculté des lettres de l'université de Strasbourg.

Grabar, A. (1966). *L'age d'or de Justinien*. Paris, 1966.

Khundadze, T. (2008). Nouvelles observatios sur les reliefs figurés de l'église Sainte-Croix de Mtskheta, *AÇO (Anatolia and Its Vicinity in Middle Ages ") – ORTAÇAG 2, AKVAD*, Ankara (21-32).

Khundadze, T. Sabashvili, K. (2024). Royal "Portraits" and Their Attributes as Represented in 10th-11th c. Georgian Sculpture, *Artists and Craftsmen on the Road, Georgian Medieval Architectural Sculpture in Interaction with Byzantine, Persian, Seljuk and Armenian Art*, Edited by Neslihan Asutay-Effenberger and Nina Iamanidze, Weissenhorn: Anton H. Konrad Verlag, (101-112).

Matiashvili, I. (2023). Royal Symbols of Middle Byzantine Period on Georgian Fasade Relief of Early 10th-11th Centuries, *Iconographica XXII*, 19-27, Ed. By Bacci, Michele, Crivello, Fabrizio, Firenze: Sismel-Edizioni del Galluzo, 21.

Parani, M. (2003). *Reconstructing the reality of images*, Leiden-Boston: Publishing House „Brill".

Thierry, N. (1985). Essai de définition d'un atelier de sculpture du Haut Moyen Age en Gogarène, *Revue des études Géorgienne et Caucasiennes* 1, Paris.

Thierry, N. (1986). Peintures historiques d'Oshk'I (T'ao), *Revue des études Géorgienne et Caucasiennes*, 2, Paris, (135–171).

Thierry, N., Thierry, M. (1999). La cathédrale de T'beti, Nouvelles données, *Cahiers Archéologiques # 47,* Paris, (87-89).

Winfield, D. (1968). Some Early Medieval figure sculpture from North-East Turkey, *Journal of the Warburg and Courtauld Institutes*, XXXI, London, (39-40).

Аладашвили, Н. (1977). *Монументальная слульптура Грузии*, Москва.

Алибегашвили, Г. (1979). *Светский портрет в грузинской средневековой монументалной живописи,* Тбилиси.

Лазарев, В. Н. (1986). *История византийской живописи*, Москва.

Марр, Н. (1911). *Дневник поездки в Шавшию и Кларджию, тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII,* С-Петербург.

Привалова, Е. (1977). *Павниси,* Тбилиси.

Северов, Н. П., Г. Н. Чубинашвили, Г. Н. (1947). *Памятники грузинской архитектуры - I, Кумурдо и Никорцминда,* Москва.

Такаишвили, Е. (1905). *Археолоические экскурсии, разыскания и заметки, вып. II,* Тифлис.

Такаишвили, Е. (1952). *Археологическая экспедиция 1917 г. в Южные провинции Грузии,* Тбилиси.

Чубинашвили, Н. (1972). *Хандиси*, Тбилиси.

Чубинашвили, Г. Н. (1948). *Памятники типа Джвари*, Тбилиси.

Чубинашвили, Н. (1971). Зедазени, Клисис Джвари, Гвиара, *"Ars Georgica"*# 7, Тбилиси, (27-66).

REFERENCES

Abramishvili, G. (2012). *At'enis Sioni [Sioni Church in Ateni],* Tbilisi:Publishing House "Nekeri ».

Aladashvili, N. (1954). Reliepi op'izidan Ashot' kurap'alat'is gamosakhulebit, [Bas-relief of Ashot Kurapalat from Opiza], „*Moambe"*, v.15/7, T (553-558), Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Amiranashvili, J. (1968*). Adrepeodaluri khanis kartuli archit'echt'urisa da reliepuri kandak'ebis dzeglebi,* [*Monuments of pre-feudal Georgian architecture and relief sculpture*], Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

Barnaveli, S. (1953). *Kartuli droshebi, [Georgian flags*], Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Beridze, V. (2014). *Kartuli khurotmodzghvrebis ist'oria, [History of Georgian Architecture],* vol. 1 Tbilisi.

Berdzenishvili, N. (1964). *Sakartvelos ist'oriis sak'itkhebi, [Issues Tof Georgian history]* vol.1, Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Boch'oridze, G. (1992). *Mogzauroba samtskhe-javakhetshi, [Trip to Samtskhe-Javakhet'i],* Tbilisi : Publishing House „Metsniereba".

Bulia, M. (2005), Ist'oriul pirta gamosakhulebebi «Natlismtsemlis » monast'ris sak'rebulo t'adzarshi, [Donor Portraits in the Main Church of the « Natlismtsemeli » Monastery in David-gareji], „*Sakartvelos Sidzveleni", (Georgian Antiquities)* 7-8, Tbilisi, 168-210.

Gagoshidze, G., Chikhladze, N. (2006). *Dirbis ghmrtismshoblis midzinebis monast'eri, [The Monastery of Dormition at Dirbi],* Tbilisi: Publishing of National Museum of Georgia.

Georgika, vol. 3, (1936). *Bizantieli mts'erlebis tsnobebi sakartvelos shesakheb, [References of Byzantine writers about Georgia],* Greek text and Georgian translation with annotations by Q'aukhchishvili S., Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Georgica, vol. 4/2, (1952). *Bizantieli mts'erlebis tsnobebi sakartvelos shesakheb, [References of Byzantine writers about Georgia],* Greek text and Georgian translation with annotations by Q'aukhchishvili S., Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Giorgi Merchule, (1963). *Tskhoreba grigol khantstelisa*, Dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi, [Life of Grigol Khantsteli, Literature of old Georgian Hagiography] vol.1 (5th–10th ss.), ed. by Abuladze, I., Tbilisi , 248-319.

Gunia, D. (2019). *K'umurdo Cathedral*, Tbilisi: Published by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

Dadiani, T. Khundadze, T. Kvach'at'adze, E. (2017).*Shua saukuneebis kartuli kandak'eba [Medieval Georgian sculpture],* Tbilisi: Publishing House "Cezanne".

Documenti di architettura Armenia - Documents of Armenian Architecture 1, (1968). Milano.

Dzegli eristavta, (ksnis eristavta sagvareulo mat'iane), (1954). [Chronicle of Eristavis], *Materials for the history of Georgia and Caucasus*, vol. 30, 305-374, ed. Meskhia, Sh., Tbilisi: Publishing house Academy of Sciences of the SSR of Georgia.

Taqaishvili, E. (1960). *1917 ts'lis arkeologiuri ekspedicia samxret saqartveloshi, [Archaeological Expedition 1917 to the Southern Georgia],* Tbilisi.

Tumanishvili, D., Khosht'aria, D., Khundadze, T. (2008). *Mtskhet'is ts'm. jvris t'adzari [Jvari Church of the Holy Cross at Mtskheta],* Tbilisi: Publishing House "Cezanne".

Kapanadze, D. (1950*). Kartuli numizmat'ik'a, [Georgian numismatics],* Tbilisi: Publishing house of the State University.

K'udava, B., Saitidze, G. (2015). Akhlad aghmochenili saktitoro reliepi Ishkhnidan, [Newly Discovered Donor Relief from Ishkhani], "*Sakartvelos Sidzveleni" (Georgian Antiquities)* 18, (184-196).

Lap'idaluri ts'arts'erebi 1. Aghmosavlet da samkhret sakartvelo, (1980). *[Lapidary inscriptions 1, Eastern and Southern Georgia (5th – 10th cc.]* ed. Shoshiashvili, N., Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

Lap'idaluri ts'arts'erebi 2. Dasavlet sakartvelo, (1980). *[Lapidary inscriptions 2, Eastern Georgia]*, ed. Silogava, V. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

Machabeli, K'. (1998)**.** *Kartuli kvajvarebi***, [***Georgian Stone Crosses*], Tbilisi: Publishing of the University of Tbilisi.

Machabeli, K'.(2008)**.** *Adreuli shua sauk'uneebis kartuli kvajvarebi [*Early Medieval Georgian Stone Crosses], Tbilisi: Publishing House "Cezanne".

Machabeli, K'. (1968). Ashot' k'ukhis reliepi t'betidan [Relief of Ashot Kukhi from Tbeti], *"Matsne"* 5, Tbilisi: 150-162;

Machabeli, K'(2013). *Kartuli istoriuli kost'iumi (5-10 sauk'uneebi*), *[Georgian Historical Costume (5th-10th Centuries)]*, Tbilisi: edition of the Ministry of Culture and Monument Preservation of Georgia.

Movses Khorenatsi, M. (1984). *Somkhetis ist'oria, [Hisotory of Armenia]*, Translated from old Armenian and annotated by Aleksandre Abdaladze , Tbilisi.

Pataridze, M. (2022). *Davit aghmashenebeli. numizmat'ik'uri memk'vidreoba (t'ip'ologia, ik'onograpia, sagareo vekt'ori), [David Aghmashenebeli. Numismatic Heritage (Typology, ichonography, foreing policy]*, Tbilisi: Publishing House "Artanuji".

Silagadze, N. (2017*). St'ela „lamazi goras" samonast'ro k'omp'leksidan: dzveli aghmochena akhali tvaltakhedvit*, [Stele from the Monastic complex of Lamazi Gora: New Perspective on an Old Discovery], International Conference of Ivane Javakhishvili State University, Faculty of Humanities, Institute of Art History and Theory, 14-15.11.2014, Proceedings, 59-78, ed. by Skhirtladze, Zaza, Tbilisi: Publishing of the State University of Tbilisi.

Silogava, V. (2006). *Oshk'i – meate sauk'unis memorialuri t'adzari, [Oshk'i 10th Century Memorial Church]*, Tbilisi: Publishing House „Nekeri".

Skhirt'ladze, Z., Chit'isvili, N. (2008). K'arbis ts'm. samebis ek'lesia, [Trinity Church in the Villag Karbi], "*Sakartvelos Sidzveleni" (Georgian Antiquities)* 12 , (76-100).

Skhirt'ladze, Z. (2022). Saktitoro reliepi ishkhanidan. dak'virvebebi da mosazrebebi, [Donor Relief from Ishkhani. Obesrvations and reconsiderations], *Gelatis mecnierebata ak'ademiis shromebi (Proceedings of Gelati Academy of Sciences)* 8, (233–300).

Kartlis tskhovreba, [The Chronicle of Kartli], ed. by Kaukhchischvili, Simon v. I, (1955). Tbilisi: Publishing House „Sakhelgami".

Chit'ishvili, N. (2014). Mepe-dedoplis samqopeli kartuli ek'lesiis sivrtseshi, [Place of the King and Queen in the Space of Georgian Church], "*Sakartvelos Sidzveleni" (Georgian Antiquities)* 17, (193-208).

Chopik'ashvili, N. (1964). *Kartuli k'ost'iumi* (6th-14th*), [Georgian Costume (6th-14th)]*,Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Tsisk'arishvili,V. (1959). *Javakhetis ep'igrapik'a rogorts saist'orio ts'q'aro [Epihraphy of Javakheti as an historical source]*, Tbilisi.

Khosht'aria, D. (2005). *K'larjetis ek'lesiebi da monast'rebi, [Churches and Monasteries in Klarjeti]*, Tbilisi: Publishing House "Artanuji".

Khundadze, T. (2013). Mepeta gamosakhulebani t'ao-klarjetis IX-X ss-is khurotmodzghvrul kandak'ebashi, [Depiction of Kings from Tao-Klarjeti in 9th-10th century Masonry Scupture], *ACADEMIA* #3, (46-58).

Khundadze, T. (2020). Kalta gamosakhulebani shua sauk'uneebis kartul kvis kandak'ebashi, [Female Images in Medieval Georgian Stone Sculpture], *St. Grigol Peradze 1st International Conference - Georgia in the Context of Christian Civilization - materials*, 162-170, Tbilisi: Publishing House"Universali".

Khusk'ivadze, L. (2003). Oshk'is sk'ulp't'urul "vedrebata" taviseburebebis shesakheb, [To the Peculiarities of Sculptural Deesis in Oshki], "*Sakartvelos Sidzveleni" (Georgian Antiquities)* # 3, (59-90).

Javakhishvili, I. (1948). *Kartveli eris sit'oria*, [*History of the Georgian Nation*], Book 1, Tbilisi: Publishing house of the State University.

Javakhishvili, I. (1983). *Tkhzulebani tormet' t'omad [Works in twelve volumes],* vol.2, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

Jobadze, V.(1991), *Oshk'is tadzari [Church of Oshki]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

Jobadze, V. (2007). *Adreuli shua sauk'uneebis kartuli monast'rebi ist'oriul t'aoshi, k'larjetsa da shavshetshi, [Early medieval Georgian monastries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti],* Tbilisi: Publishing House "Universali".

Aladashvili, N. (1977). *Monumental'naya Skul'pt'ura Gruzii, [Monumental sculpture of Georgia],* Moscow: Publishing House "Iskusstvo".

Alibegashvili, G. (1979). *Svet'skij portret v gruzinskoj srednevekovoj monumeltal'noj zhivopisi, [Secular Portrait in Medieval Georgian Monumental Painting],* Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

Lazarev, V. (1986). *Istorija vizantijskoj zhivopisi, [History of Byzantine painting]*, Moscow.

Marr, N. (1911). *Dnevnik poezdki v Shavshetiju i Kradzhetiju (Teksty i razyskanija po armjano-gruzinskoj filologii 7), [Rapport of a trip in Shavsheti and Klarjeti, Text and Research in Armenian-Georgian philology 7],* Saint-Petersburg.

Privalova, E. (1977). *Pavnisi*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba.

Severov, N., Chubinashvili, G. (1947). *Pamyatniki Gruzinskoy Arkhityektury, I, K'umurdo i Nik'orts'minda, [Monuments of Georgian Architecture, I, K'umurdo and Nik'orts'minda],* Moscow : Academy of Architecture of the Soviet Union.

Taq'aishvili, E. (1905). *Arkheologicheskie ehkskursii, raziskanija i zametki, [Archeological excursion, researches and remarks],* vol. II, Tiflis.

Taq'aishvili, E. (1952). *Arkheologicheskaja ehkspeditsija 1917-go goda v juzhnye provintsii Gruzii [Archaeological Expedition 1917 to the southern provinces of Georgia],*Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Chubinashvili, G. (1948). *Pamjatniki tipa Jvari,[Monuments of the type of Jvari],* Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of SSR Georgia.

Chubinashvili, N. (1972). *Khandisi*, Tbilisi: Publishing House " Metsniereba".

Chubinashvili, N. (1971). Zedazeni, k'lisis dzvari, ghviara, *"Ars Georgica",* # 7-A, 27-66, Tbilisi: Publishing House" Metsniereba".

ილუსტრაციების სია

სურ.1 ბოლნისი. „ლამაზი გორას“ რელიეფური ფილა პიტიახშის გამოსახულებით (მე-5-6 სს).
სურ.2 მცხეთის ჯვრის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადის რელიეფი სტეფანოზ პატრიკიოსის გამოსახულებით (მე-6-7 სს).
სურ.3 ბრეძის ეკლესიის რელიეფი სუმბატის ფიგურით (მე-10 ს.).
სურ.4 იჯარეთის რელიეფი ორი ისტორიული პირის გამოსახულებით (მე-10 ს.).
სურ.5 კუმურდოს კათედრალი. გუმბათქვეშა ტრომპებში წარმოდგენილი ლეონ მეფისა და დედოფალ გურანდუხტის გამოსახულებები (მე-10 ს.).
სურ. 6 ტბეთის ტაძრის მეფის სკულპტურა (მე-10 ს.)
სურ. 7 ოშკის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადი. დავით მაგისტროსის და ბაგრატ ერისთავთ ერისთავის ქანდაკებები (მე-10 ს.).
სურ. 8 ოშკის ტაძარი. ინტერიერი. გუმბათქვეშა ნიშის რელიეფები ტაოს მეფეთა- დავითისა და ბაგრატის გამოსახულებით (მე-10 ს.).
სურ. 9 ოშკის ტაძრის დავით კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის სტელები (მე-10 ს.)
სურ. 10 ბაგრატის ტაძარი. სამხრეთი ფასადი. მეფეთა სკულპტურული თავები (მე-10-11 სს. მიჯნა).

ილუსტრაციები

სურ. 1 ბოლნისი. „ლამაზი გორას“ რელიეფური ფილა პიტიახშის გამოსახულებით (მე-5-6 სს).

სურ. 2 მცხეთის ჯვრის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადის რელიეფი სტეფანოზ პატრიკიოსის გამოსახულებით (მე-6-7 სს).

სურ. 3 ბრეძის ეკლესიის რელიეფი სუმბატის ფიგურით (მე-10 ს.).

სურ. 4 იჯარეთის რელიეფი ორი ისტორიული პირის გამოსახულებით (მე-10 ს.).

სურ. 5 კუმურდოს კათედრალი. გუმბათქვეშა ტრომპებში წარმოდგენილი ლეონ მეფისა და დედოფალ გურანდუხტის გამოსახულებები (მე-10 ს.).

სურ. 6 ტბეთის ტაძრის მეფის სკულპტურა (მე-10 ს.)

სურ. 7 ოშკის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადი. დავით მაგისტროსის და ბაგრატ ერისთავთ ერისთავის ქანდაკებები (მე-10 ს.).

სურ. 8 ოშკის ტაძარი. ინტერიერი. გუმბათქვეშა ნიშის რელიეფები ტაოს მეფეთა- დავითისა და ბაგრატის გამოსახულებით (მე-10 ს.).

სურ. 9 ოშკის ტაძრის დავით კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის სტელები (მე-10 ს.)

სურ. 10 ბაგრატის ტაძარი. სამხრეთი ფასადი. მეფეთა სკულპტურული თავები (მე-10-11 სს. მიჯნა).